

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17
2025 წლის 27 ოქტომბერი

დაბა ასპინძა

„ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/12/2024 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.140.016555) და დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თავი I

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი			2025 წლის გეგმა		
	სულ	სულ	სულ		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	15 924,9	18 762,8	7 091,5	11 671,3	21 520,1	5 196,0	16 324,2
შემოსავლები	15 805,1	17 982,9	7 091,5	10 891,4	21 510,1	5 196,0	16 314,2
არაფინანსური აქტივების კლება	119,8	779,9	0,0	779,9	10,0	0,0	10,0
გადასახდელები	15 711,5	17 884,3	6 096,1	11 788,3	24 132,0	6 394,2	17 737,8
ხარჯები	7 299,5	8 486,3	147,7	8 338,6	11 931,7	151,7	11 780,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	8 412,0	9 398,0	5 948,4	3 449,6	12 200,3	6 242,5	5 957,8



ვალდებულებების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ნაშთის ცვლილება	213,3	878,5	995,4	-116,9	-2 611,8	-1 198,2	<u>-1 413,6</u>

მუხლი 2. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი თანდართული რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი			2024 წლის ფაქტი			2025 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15 805,1	4 578,0	11 227,1	17 982,9	7 091,5	10 891,4	21 510,1	5 196,0	16 314,2
გადასახადები	7 996,1	0,0	7 996,1	9 886,0	0,0	9 886,0	15 340,8	0,0	15 340,8
გრანტები	7 003,0	4 578,0	2 425,0	7 268,2	7 091,5	176,7	5 509,3	5 196,0	313,4
სხვა შემოსავლები	806,0	0,0	806,0	828,7	0,0	828,7	660,0	0,0	660,0
ხარჯები	7 299,5	129,5	7 170,0	8 486,3	147,7	8 338,7	11 931,7	151,7	11 780,0
შრომის ანაზღაურება	2 093,8	0,0	2 093,8	2 320,9	0,0	2 320,9	3 100,0	0,0	3 100,0
საკონელი და მომსახურება	1 336,7	129,5	1 207,1	1 366,8	147,7	1 219,1	1 949,8	151,7	1 798,1
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	0,1	0,0	0,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სუბსიდიები	2 748,7	0,0	2 748,7	3 377,4	0,0	3 377,4	4 493,0	0,0	4 493,0
გრანტები	30,0	0,0	30,0	51,6	0,0	51,6	80,0	0,0	80,0
სოციალური უზრუნველყოფა	623,4	0,0	623,4	800,0	0,0	800,0	1 163,7	0,0	1 163,7
სხვა ხარჯები	467,0	0,0	467,0	569,7	0,0	569,7	1 145,2	0,0	1 145,2
საოპერაციო სალდო	8 505,6	4 448,5	4 057,1	9 496,6	6 943,8	2 552,8	9 578,4	5 044,3	4 534,2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	8 292,2	5 335,8	2 956,4	8 618,1	5 948,4	2 669,6	12 190,3	6 242,5	5 947,8
							12		



ზრდა	8 412,0	5 335,8	3 076,2	9 398,0	5 948,4	3 449,6	200,3	6 242,5	5 957,8
კლება	119,8	0,0	119,8	779,9	0,0	779,9	10,0	0,0	10,0
მთლიანი სალდო	213,3	-887,4	1 100,7	878,5	995,4	-116,9	-2 611,9	-1 198,2	-1 413,6
ფინანსური აქტივების ცვლილება	213,3	-887,4	1 100,7	878,5	995,4	-116,9	-2 611,9	-1 198,2	-1 413,6
ზრდა	1 100,7	0,0	1 100,7	995,4	995,4	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	1 100,7		1 100,7	995,4	995,4		0,0		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	887,4	887,4	0,0	116,9	0,0	116,9	2 611,9	1 198,2	1 413,6
ვალუტა და დეპოზიტები	887,4	887,4		116,9		116,9	2 611,9	1 198,2	1 413,6
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

თავი II

მუხლი 3. ასპინძის მუნიციპალიტეტის შემოსავლები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 21 510,1 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი				2025 წლის გეგმა		
		მათ შორის		მათ შორის		მათ შორის		
		სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1 შემოსავლები	15 805,1	17 982,9	7 091,5	10 891,4	21 510,1	5 196,0	16 314,2	
2 გადასახადები	7 996,1	9 886,0	0,0	9 886,0	15 340,8	0,0	15 340,8	
3 გრანტები	7 003,0	7 268,2	7 091,5	176,7	5 509,3	5 196,0	313,4	
4 სხვა შემოსავლები	806,0	828,7	0,0	828,7	660,0	0,0	660,0	

მუხლი 4. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 15 340,8 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი				2025 წლის გეგმა		
			მათ შორის		მათ შორის		მათ შორის		
			სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	7 996,1	9 886,0	0,0	9 886,0	15 340,8	0,0	15 340,8	
ქონების გადასახადი	113	2 896,6	3 325,7	0,0	3 325,7	3 000,0	0,0	3 000,0	



საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	2 658,7	3 059,2	0,0	3 059,2	2 963,0	0,0	2 963,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113112	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	2,2	2,9	0,0	2,9	0,0	0,0	0,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	1131132	2,2	2,9	0,0	2,9	0,0	0,0	0,0
საქართველოში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე	1131133	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	183,5	210,3	0,0	210,3	30,0	0,0	30,0
ფიზიკურ პირებიდან	1131141	105,3	123,1	0,0	123,1	25,0	0,0	25,0
იურიდიულ პირებიდან	1131142	78,3	87,2	0,0	87,2	5,0	0,0	5,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	52,2	53,4	0,0	53,4	7,0	0,0	7,0
ფიზიკურ პირებიდან	1131151	3,9	3,8	0,0	3,8	2,0	0,0	2,0
იურიდიულ პირებიდან	1131152	48,4	49,5	0,0	49,5	5,0	0,0	5,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	1136	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა გადასახადები (დ.ღ.გ)	114	5 099,4	6 560,3	0,0	6 560,3	12 340,8	0,0	12 340,8

მუხლი 5. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის გრანტები 5 509,3 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	კოდი	2023 წლის ფაქტი		2024 წლის ფაქტი		2025 წლის გეგმა	
		სულ	სულ	მათ შორის		მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები



გრანტები	13	7 003,0	7 268,2	7 091,5	176,7	5 509,3	5 196,0	313,3
სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	35,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	6 968,0	7 268,2	7 091,5	176,7	5 509,3	5 196,0	313,4
სპეციალური ტრანსფერი	1332	1 700,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	957,3	531,1	354,4	176,7	591,8	278,5	313,3
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		379,5	324,4	147,7	176,7	288,9	151,7	137,1
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		577,8	206,7	206,7	0,0	302,9	126,7	176,2
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	4 310,7	6 737,1	6 737,1	0,0	4 917,5	4 917,5	0,0
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი		4 016,7	5 943,1	5 943,1	0,0	4 623,5	4 623,5	0,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		294,0	294,0	294,0	0,0	294,0	294,0	0,0
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი		0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
მთავრობის სარეზერვო ფონდი		0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი		0,0	500,0	500,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 6. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 660,0 ათ.ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი				2025 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	



სხვა შემოსავლები	14	806,0	828,7	0,0	828,7	660,0	0,0	660,0
შემოსავლები საკუთრებიდან	141	468,9	565,2	0,0	565,2	430,0	0,0	430,0
პროცენტები	1411	103,2	207,9		207,9	80,0		80,0
დივიდენდები	1412	0,0	0,0			0,0		
რენტა	1415	365,7	357,4	0,0	357,4	350,0	0,0	350,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	319,3	357,4	0,0	357,4	350,0	0,0	350,0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	46,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	14159	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	67,5	47,6	0,0	47,6	30,0	0,0	30,0
დმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	66,7	43,8	0,0	43,8	30,0	0,0	30,0
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	14222	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სანებართვო მოსაკრებელი	14223	24,9	16,0	0,0	16,0	5,0	0,0	5,0
სახელმწიფო ბაჟი	14227	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	0,0	0,0	0,0		0,0	0,0	0,0
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	142216	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	41,8	27,7	0,0	27,7	25,0	0,0	25,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	142299	0,0	0,1	0,0	0,1	0,0	0,0	0,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	0,8	3,8	0,0	3,8	0,0	0,0	0,0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	14231	0,8	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	0,0	3,8	0,0	3,8	0,0	0,0	0,0



ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	238,5	128,3	0,0	128,3	200,0	0,0	200,0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	144	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	31,1	87,6	0,0	87,6	0,0	0,0	0,0

თავი III

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ხარჯები 11 931,7 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი			2024 წლის ფაქტი			2025 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	7 299,5	129,5	7 170,0	8 486,3	147,7	8 338,7	11 931,7	151,7	11 780,0
შრომის ანაზღაურება	2 093,8	0,0	2 093,8	2 320,9	0,0	2 320,9	3 100,0	0,0	3 100,0
საქონელი და მომსახურება	1 336,7	129,5	1 207,1	1 366,8	147,7	1 219,1	1 949,8	151,7	1 798,1
პროცენტი	0,1	0,0	0,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სუბსიდიები	2 748,7	0,0	2 748,7	3 377,4	0,0	3 377,4	4 493,0	0,0	4 493,0
გრანტები	30,0	0,0	30,0	51,6	0,0	51,6	80,0	0,0	80,0
სოციალური უზრუნველყოფა	623,4	0,0	623,4	800,0	0,0	800,0	1 163,7	0,0	1 163,7
სხვა ხარჯები	467,0	0,0	467,0	569,7	0,0	569,7	1 145,2	0,0	1 145,2

მუხლი 8. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 12 190,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 12 200,3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:



დასახელება	2023 წლის ფაქტი			2024 წლის ფაქტი			2025 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	795,8	137,8	658,0	883,9	226,7	657,2	952,9	0,0	952,9
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6 067,2	4 521,4	1 545,8	7 150,0	5 035,0	2 115,0	9 268,2	5 522,6	3 745,6
დასუფთავება და გარემოს დაცვა	0,0	0,0	0,0	0,8	0,0	0,8	9,1	0,0	9,1
განათლება	1 066,4	561,3	505,1	141,6	0,0	141,6	335,0	126,7	208,3
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	482,6	115,3	367,3	1 160,1	686,7	473,3	1 629,2	592,8	1 036,4
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0	61,7	0,0	61,7	5,9	0,4	5,5
სულ ჯამი	8 412,0	5 335,8	3 076,2	9 398,0	5 948,4	3 449,6	12 200,3	6 242,5	5 957,8

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 10,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	კოდი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი				2025 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
არაფინანსური აქტივების კლება	31	119,7	779,9	0,0	779,9	10,0	0,0	10,0	



ძირითადი აქტივები	311	65,3	779,9		779,9	0,0		
მატერიალური მარაგები	312	0,0	0,0			0,0		
ფასეულობები	313	0,0	0,0			0,0		
არაწარმოებული აქტივები	314	54,5	0,0	0,0	0,0	10,0	0,0	10,
მიწა	3141	54,5	0,0		0,0	10,0		10,0
სხვა ბუნებრივი აქტივები	3143	0,0	0,0			0,0		

მუხლი 9. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი			2024 წლის ფაქტი			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	მართვებობა და საერთო დანაშნულების ხარჯები	3 486,6	137,8	3 348,8	3 954,1	226,7	3 727,4	5 567,9	0,0	5 567,9
7011	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	3 486,5	137,8	3 348,7	3 954,1	226,7	3 727,4	5 282,8	0,0	5 282,8
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3 486,5	137,8	3 348,7	3 954,1	226,7	3 727,4	5 282,8	0,0	5 282,8
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
702	თავდაცვა	118,5	0,0	118,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	5	4 145,3	1 584,4	6	4 276,5	2 370,1	8	4 835,7	3 732,1



		729,7			646,7			567,8		
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1 076,3	294,0	782,3	1 086,1	292,8	793,4	1 232,7	295,2	937,5
70421	სოფლის მეურნეობა	1 076,3	294,0	782,3	1 086,1	292,8	793,4	1 232,7	295,2	937,5
70441	მინერალური რესურსების მოპოვება, მინერალური საწვავის გარდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7045	ტრანსპორტი	4 653,4	3 851,3	802,1	5 560,6	3 983,8	1 576,8	7 335,1	4 540,5	2 794,6
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4 653,4	3 851,3	802,1	5 560,6	3 983,8	1 576,8	7 335,1	4 540,5	2 794,6
705	გარემოს დაცვა	464,2	0,0	464,2	1 060,9	497,2	563,7	1 102,8	192,5	910,3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	464,2	0,0	464,2	547,4	0,0	547,4	800,0	0,0	800,0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0	513,5	497,2	16,3	302,8	192,5	110,3
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1 301,6	376,1	925,5	1 047,0	261,3	785,7	1 902,5	494,4	1 408,1
7061	ბინათმშენებლობა	236,9	0,0	236,9	34,2	0,0	34,2	315,5	110,6	204,9
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7063	წყალმომარაგება	477,5	376,1	101,4	172,1	0,0	172,1	67,0	4,4	62,6
7064	გარე განათება	418,4	0,0	418,4	725,6	261,3	464,3	1 265,0	379,4	885,6
7065	გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში(საპროექტო)	168,8	0,0	168,8	115,1	0,0	115,1	255,0	0,0	255,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	76,1	0,0	76,1	183,8	0,0	183,8	190,4	0,4	190,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	76,1	0,0	76,1	183,8	0,0	183,8	190,0	0,0	190,0
7075	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის	0,0	0,0	0,0	0,3	0,0	0,3	0,4	0,4	0,0



	სფეროში									
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 652,0	115,3	1 536,7	2 496,6	686,7	1 809,9	3 186,5	592,7	2 593,8
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	397,3	0,0	397,3	667,8	255,7	412,1	1 227,1	17,8	1 209,3
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	765,0	115,3	649,7	1 350,5	431,0	919,5	1 459,5	575,0	884,5
7083	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	196,6	0,0	196,6	296,6	0,0	296,6	300,0	0,0	300,0
7085	გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	293,1	0,0	293,1	181,7	0,0	181,7	200,0	0,0	200,0
709	განათლება	2 271,2	690,8	1 580,4	1 631,8	147,7	1 484,1	2 365,1	278,5	2 086,6
7091	სკოლამდელი აღზრდა	2 141,7	561,3	1 580,4	1 484,1	0,0	1 484,1	1 910,4	0,0	1 910,4
7092	ზოგადი განათლება	129,5	129,5	0,0	147,7	147,7	0,0	454,7	278,5	176,2
710	სოციალური დაცვა	611,6	0,0	611,6	863,5	0,0	863,5	1 249,0	0,0	1 249,0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	123,7	0,0	123,7	125,6	0,0	125,6	175,0	0,0	175,0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	93,9	0,0	93,9	85,6	0,0	85,6	120,0	0,0	120,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	29,8	0,0	29,8	40,0	0,0	40,0	55,0	0,0	55,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	51,1	0,0	51,1	45,4	0,0	45,4	60,0	0,0	60,0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	36,3	0,0	36,3	41,5	0,0	41,5	50,0	0,0	50,0
	სხვა									



7109	არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	400,4	0,0	400,4	651,0	0,0	651,0	964,0	0,0	964,0
	სულ	15 711,5	5 465,4	10 246,2	17 884,3	6 096,1	11 788,2	24 132,0	6 394,2	17 737,8

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს - 2 611,9 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 9 578,4 ათასი ლარით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	8 505,6	9 496,6	9 578,4
მთლიანი სალდო	213,3	878,5	-2 611,9

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -2 611,9 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	213,3	878,5	-2611,9
ზრდა	1 100,7	995,4	0,0
ვალუტადადებოზიტი	1 100,7	995,4	0,0
კლება	887,4	116,9	2 611,9
ვალუტადადებოზიტი	887,4	116,9	2 611,9

მუხლი 12. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 0,0 ლარის ოდენობით.



2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა 2 611, 9 ათ.ლარი. მათ შორის :

განკარგულებებით გამოყოფილი თანხის ჯამმა შეადგენა 1 198,2 ათ ლარი. აქედან:

ლარი.

2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულების კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 10,6 ათ. ლარი.

2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულების კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 0,4 ათ. ლარი.

2019 წლის 18 დეკემბრის №2630 განკარგულების კაპიტალური ტრანსფერი 4,3 ათ ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის №2685 განკარგულების კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 30,1 ათ.

2020 წლის 18 მარტის № 551 განკარგულების კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 8,9 ათ. ლარი.

2022 წლის 17 იანვრის №75 განკარგულებით კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 3,8 ათ. ლარი.

2023 წლის 10 ივლისის №1284 განკარგულებით კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 0,3 ათ. ლარი.

2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულებით კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 8,2 ათ. ლარი.

2023 წლის 28 დეკემბრის №2401 განკარგულებით კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 1,2 ათ. ლარი.

2023 წლის 28 დეკემბრის №2400 განკარგულებით კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 2,8 ათ. ლარი.

2023 წლის 28 დეკემბრის №2402 განკარგულებით კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 789,8 ათ. ლარი.

2024 წლის 30 მაისის №746 განკარგულებით კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 237,8 ათ. ლარი.

2024 წლის 23 ივლისის №1025 განკარგულებით „მოქალაქეთა ჩართულობისგანვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებებიდან დარჩენილი ნაშთი 100,0 ათ. ლარი.

სახაზინო ანგარიშზე არსებული ნაშთიდან 1 413,7 ათ ლარიდან 52,5 ათ. ლარით დაფინანსდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურეობის სუბსიდიის მუხლი, ხოლო 1 361,2 ათ.ლარი მიიმართოს 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯების დასაფინანსებლად.

თავი IV

ასპინძის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 13. ასპინძის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ასპინძის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების და ხიდების რეაბილიტაცია), მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია, ასპინძის ქუჩების გარე განათების მთლიანად დასრულება და არსებული ქსელის მოვლა-პატრონობა, ასევე დასუფთავების ღონისძიებები, სარწყავი არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია, აგრეთვე საპროექტო სახარჯთაღრიცხვო



დოკუმენტაციის შედგენა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 10 773,1 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	7 031,3	8 207,2	10 773,1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	4 653,4	5 560,6	7 335,1
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1 353,3	1 706,3	2 260,3
02 02 01	წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლუატაცია	477,5	172,1	67,0
02 02 03	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	418,4	725,6	1 265,0
02 02 03 01	ა)იპ გარე განათება	182,3	212,3	230,0
02 02 03 02	გარე განათების ექსპლუატაცია	236,1	513,3	1 035,0
02 02 04	სარწავი არების მოწყობა-რეაბილიტაცია	220,5	260,9	310,0
02 02 05	ბინათმშენებლობა	236,9	34,2	315,5
02 02 06	მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოები	0,0	513,5	302,8
02 03	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	168,8	115,1	255,0
02 04	სოფლის მზარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	855,8	825,2	922,7

2025 წლის დაფინანსებ



პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	ათას ლარში
	02 01		7 335,1
პროგრამის განმახორციელებელი	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, დაზიანებული გზებისა და საგზაო ნაგებობების (ხიდეები, მილხიდები, გზების დამცავი კედლები და გაბიონები და სხვა) რეაბილიტაციას, ფეხით მოსიარულეთა ინფრასტრუქტურის განვითარებას (ტროტუარების, პანდუსებისა და ბორდიურების მოწყობა), გზების მოდინებული წყლის ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით კიუვეტების, ცხაურების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციას, საგზაო მოძრაობის ორგანიზების მიზნით საგზაო ნიშნების და მონიშვნების (მ. შ. ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები და სიჩქარის შემზღვევადი საშუალებები) მოწყობას. ასევე გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდას და სხვა.		
მოსალოდნელი შედეგი	საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობით შესაძლებელი იქნება, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტების უსაფრთხო, შეუფერხებელი და სწრაფი გადაადგილება, რაც დადებით ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტს მოუტანს გზით/ქუჩით მოსარგებლე ბენეფიციარებს.		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლუატაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		67,0
პროგრამის განმახორციელებელი	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ასპინძის მუნიციპალიტეტში სასმელი წყალი ცენტრალიზებული ქსელებით მიეწოდება მოსახლეობის 85%, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ წყალი მიეწოდება -დ. ასპინძას, სოფლებს ოთას, ოშორას და იდუმალას- 1582 ოჯახს. ასპინძის მუნიციპალიტეტის 9 სოფელს სასმელი წყალის მიწოდებას ზედამხედველობას და მომსახურებას უწევს ა(ა)იპ ასპინძის მელიორაციის და სოფლების სასმელი წყლის ცენტრი. ემსახურება მასში მცხოვრებ 805 ოჯახს. სასმელი წყლის ქსელი მოწყობილია დაბის მთლიან ტერიტორიაზე. ასპინძის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში წყალმომარაგების და წყალარინების ქსელების მოწყობა-გაფართოება. ასევე სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა.		
	უზრუნველყოფილია სასოფლო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის წყალმომარაგება (მ.შ. ტექნიკური წყლით) და ქალაქისა და დაბის მრავალბინიანი სახლების წყალარინება		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 03		1 265,0
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერია და ა(ა)იპ გარე განათება.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარეგანათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარეგანათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. პროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის გაფართოებას. ახალი ტექნოლოგიური მიწვევების გათვალისწინებით გარე განათების LED სანათების მოწყობას, ასევე მოძველებული სანათების ახალი სანათებით		



	ჩანაცვლებას. დამის საათებში მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში დამის განათების უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. დამის განათების ქსელებით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის დასახლებული ერთეულების ცენტრალური უბნები და ქ. ასპინძის ქუჩების, მოედნების და ღია სივრცეების 80%.
მოსალოდნელი შედეგი	შექმნილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარეგანათების ინფრასტრუქტურა. განათებული ქუჩები. უსაფრთხო გადაადგილება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოიფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.

პროგრამის დასახელება	კოდი	სარწყავი არხების და სოფლების სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 04		310,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ასპინძის მელიორაციის და სოფლების სასმელი წყლის ცენტრი		
ა(ა)იპასპინძის მელიორაციისა და სოფლების სასმელი წყლის ცენტრი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, გრავიტაციული არხების წმენდითი სამუშაოები ნატანისაგან, დროებითი სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია, მილხიდების, დიუკერების და მოპირკეთებული წყალსატარების წმენდა, სადერევეციო არხის წმენდა, სატუმბო სადგურების ძალოვანი აგრეგატების (ტუმბო,ძრავი) მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ელექტროაღრიცხვის და ელ.მოწყობილობების მიმდინარე რემონტი, სადაწნეო ქსელებზე შესადუღებელი სამუშაოების წარმოება, წყალსაცავზე- შემავესებელი და სამომხმარებლო გრავიტაციული არხების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები , წყალსაცავის ტერიტორიის კეთილმოწყობა და სოფლების სასმელი წყლის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები		
მოსალოდნელი შედეგი	მელიორაციული ობიექტების მოვლა-პატრონობა და შენახვა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გრავიტაციული არხების, სატუმბო სადგურების, წყალსაცავის და სოფლების სასმელი წყლის ექსპლოატაცია.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმშენებლობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 05		315,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება. განხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსების და სხვა შენობების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია. ასევე სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების მეპატრონეებისათვის სამშენებლო მასალის შექმნა და სხვა ღონისძიებები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის მრავალსართულიანი კორპუსები რომელებიც საჭიროებენ საძირკვლის გამაგრებას ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაციას. პროექტის მიზანია თანდათანობით განხორციელდეს დაბაში არსებული კორპუსების კეთილმოწყობა.		
მოსალოდნელი	კეთილმოწყობილი და რეაბილიტიზირებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები		



შედეგი	
--------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 06		302,8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მდინარეებზე კალაპოტების გამაგრება, ეროზიისაგან დაცვა, ნათესების და მოსახლეობის დაცვა ჭარბი წყლებისაგან და სხვა ღონისძიებები.		
მოსალოდნელი შედეგი	დაცული მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სტიქიური უბედურებისაგან. დაცული კულტურული ნათესები განადგურებისაგან.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03		255,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი დოკუმენტაციებით უზრუნველყოფა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი.</p> <p>პროგრამის მიზანია სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება. სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სამიეზო და გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება;</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; უზრუნველყოფილია ხარისხიანი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04		922,7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური		



პროგრამის აღწერა და მიზანი	სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესების მიზნით, მოსახლეობებთან შეხვედრების განხორციელება, მათი მოთხოვნების შესაბამისად განსახორციელებელი პრიორიტეტები შერჩევა და პრიორიტეტების გათვალისწინებით მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციების შესაბამისად სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით სოფლად გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ქუჩების, ასევე სოფლების, ტროტუარების, სკვერების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება და გატანა ნაგავსაყრელამდე, რაც გააუმჯობესებს დაბის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას.

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 800,0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	464,2	547,4	800,0
03 02	ა(ა)იპ კეთილმოწყობა	464,2	547,4	800,0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 00		800,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ასპინძის კეთილმოწყობა		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, დაბაში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 270 ურნებში და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; დაბის ტერიტორიიდან, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიებიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 3 ნაგავში. 2025 წლისათვის დაგეგმილია კიდევ 1 ნაგავში დიდი ავტომანქანის დამატება. დღეს არსებული სიტუაციით მუნიციპალიტეტში ყოველდღიურად სუფთავდება 150 400 კვმ ფართობი. პროგრამის ფარგლებში 2025 წლისათვის იგეგმება 1 100 კვმ-ით მეტი ფართობის დაგვა, სულ ყოველდღიურად მოხდება 151 500 კვმ ფართობის დაგვა-დასუფთავება და სხვა ღონისძიებები.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა და მუნიციპალური ნარჩენების მართვა		



3. განათლება

განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულებები სრულ თანხვედრაში იქნება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რათა მყარი საფუძველი ჰქონდეთ აღსაზრდელების სასკოლო განათლების მისაღებად მომზადებისთვის. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახლი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება.

აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიების განვითარება, პროფესიაში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

ასპინძის მუნიციპალიტეტისთვის მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელი განათლების განვითარებას. იგი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ამ პროგრამის მიზანია სასკოლო განათლებისათვის ნორჩი აღსაზრდელების მომზადება, მათი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა, შემოქმედებითი შესაძლებლობების და ინტერესების ხელშეწყობა.

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასპინძის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ასევე მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2 365,1 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
04 00	განათლება	2 271,2	1 632,8	2 365,1
04 01	სკოლამდელი განათლება	2 141,7	1 484,1	1 910,4
04 01 01	ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება	1 120,8	1 397,5	1 900,0
04 01 02	ბაღების რეაბილიტაცია	1 020,9	86,6	10,4
04 03	საჯარო სკოლები	129,5	147,7	454,7



04 03 01	ზოგადი საჯარო სკოლები	129,5	151,3	454,7

პროგრამის დასახელება	კოდი	ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01 01		1 900,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების კოორდინაცია: თანაბრად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდება ყველა ბავშვისათვის; კვალიფიციური საგანმანათლებლო პერსონალი; სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება და სხვა ღონისძიებები.</p> <p>ტერიტორიაზე ამჟამად ფუნქციონირებს 6 საბავშვო ბაღი, 2 ასპინძაში, 1 სოფელ რუსთავეში, 1 სოფელ ტოლოში, 1 სოფელ ძველში და 1 სოფელ თმოგვში. 6 საბავშვო ბაღში რეგისტრირებულია 480 აღსაზრდელი. სოფელ ძველის ახლად აშენებულ ბაღი, გარდა სოფელი ძველის ბავშვებისა, ახლომდებარე 3 სოფლის სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებსაც მიიღებს. ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებულია 120 თანამშრომელი, მათ შორის 110 ქალი, 10 მამაკაცი. 2024 წლის სექტემბრის თვიდან ექსპლუატაციის შევიდა სოფელ თმოგვის ახლად აშენებული საბავშვო ბაღი (გათვლილია 60 აღსაზრდელზე) რომელიც ახლომდებარე 3 სოფლის სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებსაც მიიღებს. რაც კიდევ უფრო გაზრდის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობას და დასაქმებულთა რიცხოვნობას. მუნიციპალიტეტის სოფლიდან ხორციელდება სკოლამდელი ასაკის ბავშვების უფასო ტრანსპორტირება ასპინძის საბავშვო ბაღებში. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ბავშვბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა და შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები. უსაფრთხო, კომფორტული, პირობების შექმნა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვების რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01 02		10,4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში არსებული ბავშვების კეთილმოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	ბავშვების გალამაზებული იერსახე, უკეთესი ინფრასტრუქტურა.		



პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 03		454,7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება -ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების კეთილმოწყობა. ასევე მოხდება მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.		
მოსალოდნელი შედეგი	სკოლების გალამაზებული იერსახე, უკეთესი ინფრასტრუქტურა. მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილება.		

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3 186,5 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია, ახალ-გაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1 652,0	2 496,6	3 186,5
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	397,3	667,8	1 227,1
05 01 01	სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა	134,9	306,5	868,1
05 01 02	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	262,4	361,3	359,0
05 01 02 02	ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანება	157,4	196,3	234,0
05 01 02 03	ა(ა) იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი ტაო	105,0	165,0	125,0



05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	765,0	1 350,5	1 459,5
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	765,0	1 350,5	1 459,5
05 02 01 02	ა(ა) ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება კულ-ტურის ცენტრი	225,5	235,7	345,0
05 02 01 03	მთავარი ბიბლიოთეკა	79,1	92,9	120,0
05 02 01 04	სახელოვნებო სკოლები	146,4	164,3	221,0
05 02 01 07	კულტურის ობიექტების მშენებლობა	314,0	857,6	773,5
05 03	ახალგაზრდობის ორგანიზაციების დაფინანსება	293,1	181,7	200,0
05 04	რელიგია	196,6	296,6	300,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა	2025 წ დაფინანსება ათასლარებში
	05 01 01		868,1
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ასპინძის მუნიციპალიტეტის კულტურის , განათლების, სპორტის,მეგლთა დაცვის ,ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური და ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ასპინძის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება,ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, საზოგადოების აქტიური ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტში დაგეგმილ სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისას ურთიერთსაპირისპირო სქესი წარმომადგენლების თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა, სპორტული ღონისძიებებში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება თასებით, მედლებით და ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება; სართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები. მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის პროექტით გათვლილია - სპორტული ინვენტარის შეძენა, სპორტული ღონისძიებების სამსაჯო მომსახურების ხარჯები, სპორტულ ღონისძიებებისათვის სპორტული ფორმებისშეძენა. მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზარდთა სპორტის განვითარებისათვის სპორტული მატერიალური-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობის აღზრდის ხელშეწყობის მიზნით, ახალი მინი სპორტული მოედნების მოწყობა , არსებულის რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ჩატარებული მუნიციპალური სპორტული ღონისძიებებით, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ ცნობიერება 50%-60% ითაა გაზრდილი , 20-30% გაზრდილია გოგონებისა და ქალების სპორტულ ღონისძიებებში აქტიური ჩართულობა და გაუმჯობესებულია სპორტული მიღწევები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 02		234,0
პროგრამის	ა(ა)იპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება		



განმახორციელებელი	
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია, ტრადიციული სპორტის მხარდაჭერა; ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური ჩართვა სისტემატურ ცხოვრებაში და პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება</p> <p>წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული წრეების: ბ/რ ჭიდაობის, ფეხბურთის რაგბის, ძიუდოს, მძლეოსნობის მხარდაჭერა, მონიტორინგის განხორციელება მათი საჭიროებების შეფასება. სულ 6-დან 17 წლამდე 188 ბავშვი და მოზარდი დადის სპორტულ წრეებზე, მათ შორის 179 ბიჭია და 9 გოგო. სასპორტო გაერთიანებაში დასაქმებული სულ 18 ადამიანია, აქედან 5 ქალი და 13 კაცი. სპორტულ წრეებს 11 მწვრთნელი ემსახურებათ და მათ შორის 1 ქალი . მუნიციპალიტეტში სპორტული წრეები ფუნქციონირებს დაბა ასპინძაში.</p> <p>ა(ა)იპ - ასპინძის სასპორტო გაერთიანება - გაერთიანების ბაზაზე არსებული სპორტის სახეობათა განვითარება; კერძოდ: ფეხბურთის სექცია, რაგბის სექცია, ძიუდოს სექცია, მძლეოსნობის სექცია, ბ/რ ჭიდაობის სექცია, მშვილდოსნობის სექცია, კალათბურთის სექცია - სპორტული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება; - ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლების და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ხელშეწყობა; - აღნიშნული სპორტის მასობრიობის და ხელმისაწვდომობის პირობების შექმნა; - სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის ვარჯიშების ორგანიზება და შესაბამისი პირობების შექმნა; - გაერთიანების შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება; - სპორტული ტრადიციების შენარჩუნება; - სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო თასების, სიგელების, ჯილდოების შექმნა; - სასპორტო გაერთიანებისათვის სპორტული ინვენტარის, სპეციალური ფორმებისა და სპორტული აღჭურვილობის შექმნა; - სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ორგანიზება; - მწვრთნელთა ოსტატობის ამაღლების მიზნით ტრენინგ-სემინარებისა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება; - ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება; - სპორტსმენთა ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლისათვის სამივილინეო ხარჯების უზრუნველყოფა; - გაერთიანებაში არსებული სპორტის სახეობების გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება; გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება;</p>
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია სპორტული წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა და შექმნილია პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის სპორტული წრეებით სარგებლობისთვის

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამცხე ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი ტაო	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 03		125,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამცხე ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი „ტაო“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შექმნილია სამცხე ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი "ტაო", რომლის მიზანია რაგბის, როგორც სპორტის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ბავშვთა და მოზარდთა რაგბის განვითარება და პროფესიული რაგბის დამკვიდრება სამცხე-ჯავახეთის მხარეში.</p> <p>ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბ „ტაო“-ს მთავარი მიზანი არის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ბავშვების, მოზარდების და ახალგაზრდობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, ახალგაზრდობის რეგიონში დაკავებისა და დასაქმების ხელშეწყობა, სამცხე-ჯავახეთში რაგბის განვითარება და პოპულარიზაცია.</p> <p>კლუბის სამომავლო გეგმები: რეგიონის ბავშვთა რაგბის განვითარება, რეგიონში რაგბს კერების გაზრდა. ახალ სეზონში კაცთა გუნდის მიზანი ეს არის: დიდი -10-ში (უმალეს ლიგაში) ასვლა. რაც ხელს შეუწყობს სპორტის განვითარებას რეგიონში. საქართველოს რაგბის ჩემპიონატის "პირველი" ლიგის 2023 -2024წ გამარჯვებული გუნდი ახალ სეზონში ითამაშებს უმაღლეს ლიგაში "დიდი10"-ში</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა რაგბში.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება - კულტურის ცენტრი	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		345,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება-კულტურის ცენტრი		



<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება კულტურის ცენტრში ერთიანდება ფოლკლორული თეატრალური და საესტრადო მიმართულებები სახელოვნებო წრები, რომელშიც 80 ბავშვი და მოზარდი დადის, მათ შორის 29 ბიჭია და 51 გოგო, სულ სახელოვნებო წრეებს ემსახურება 4 პედაგოგი, 1 კაცი და 3 ქალი, მუნიციპალიტეტში სახელოვნებო წრეები ფუნქციონირებს მხოლოდ დაბა ასპინძაში.</p> <p>წლის განმავლობაში კულტურის ცენტრი ანხორციელებს მუნიციპალიტეტში მოსახლეობის კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში აქტიურად ჩაბმის მიზნით, ფოლკლორულ, საესტრადო, თეატრალურ სახალხო სხვა ღონისძიებების ჩატარებას, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის ხელშეწყობას და მათი დასვენებას. ზემო აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების დაცვასა და მოვლა-პატრონობას, ასევე არსებული სამუზეუმო ექსპონატების მოვლა-პატრონობა, მის რესტავრაციაზე ზრუნვას.</p> <p>მიზანია: კულტურის დარგების განვითარებისათვის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, ხელოვნების ტრადიციული დარგების: ფოლკლორის, საესტრადო და თეატრალური მიმართულების მხარდაჭერა; მოსახლეობაში კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში აქტიური ჩართვა, მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში და ორგანიზაციაში არსებულ სახელოვნებო წრეებში ჩართულობის მიზნით ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური მოზიდვა, ასევე უზრუნველყონ პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. და სხვა ღონისძიებები.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ჩატარებულია კულტურული ღონისძიებები და ხელშეწყობილია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა, უზრუნველყოფილია სახელოვნებო წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა და შექმნილია პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის სახელოვნებო წრეებით სარგებლობისთვის</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>ა(ა)იპ ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკა</p>	<p>2025 წლის დაფინანსება ათას ლარში</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>05 02 01 03</p>	<p>ა(ა)იპ - ასპინძის მთავარი ბილიოთეკა</p>	<p>120,0</p>
